საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/20

ქ.თბილისი

„ 11 „ სექტემბერი 2014 წ.

800/900/1800/2100/2600 მჰც დიაპაზონების ფარგლებში არსებული სიხშირული რესურსის შეფასებისა და ღირებულების განსაზღვრის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ საკონსულტაციო კომპანიასთან („ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი.“-ს ფილიალი საქართველოში) კომისიის მხრიდან მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **800/900/1800/2100/2600** მჰც დიაპაზონების ფარგლებში არსებული სიხშირული რესურსის შეფასებისა და ღირებულების განსაზღვრის პროცესში კომისიის ჩართულობისა და საკონსულტაციო კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) სოფიო ბრიტანჩუკი – კომისიის წევრი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) თეა ტყეშელაშვილი – სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

გ) სერგო შავგულიძე – სიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი;

დ) რატი სხირტლაძე – ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი;

ე) ირინე ვერძეული – სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ვ) მარიამ სულაბერიძე – სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ზ) ქეთევან რეხვიაშვილი – სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

თ) დავით გოგიჩაიშვილი – კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის აუდიტორი;

ი) ალექსანდრე ღლონტი – ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

კ) არჩილ მაკარიძე – ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის არასაშტატო სპეციალისტი;

ლ) ნინო ნიჟარაძე – სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

მ) ზაზა გონჯილაშვილი – სიხშირეთა მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უზრუნველყონ ზემოთ მითითებულ პროცესში საკონსულტაციო კომპანიის მიერ მოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაციის მათთვის დროული მიწოდება და საკონსულტაციო კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოს კომისიის სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2014 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდი;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის წევრს (სოფიო ბრიტანჩუკი);

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე